კვირა 9 მარტი

ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 8. იუმორისტ. ჟურნალი




უკანასკნელი დღეები. (დრამა 3 მოქმედებათ, თხზულება ვარლამ გელოვანისა).

ჩამოდი ბიჭო კუჭიკო
ნუ გამოგვჭერი ყელები,
თორემ ხომ ხედავ საცემრად
აშვერილია ხელები.

კიტა ამოდის ხომ ხედავ
რას უბღვერ, მიეც სალამი,
მაღალმა ღმერთმა აკურთხოს
მაგის გოგრა და კალამი.

რაც მოგივიდა დავითავ
სულ ყველა შენი ბრალია,
„ცნობილ“ ბარათის წერის დროს
ალბათ იყავი მთვრალია!

### ნაკადულს.

ნაკადულო, გამაგონე
ხმა წკრიალა, მოჩუხჩუხე,
გადირბინე კლდიდან-კლდეზე
ახმაურდი, დაიქუხე.
ჩაურბინე ხასხას მდელოს,
აყვავებულ გულმკერდ ღიას,
გადაჰკოცნე ვარდ-ზამბახი,
მიესალმე ტურფა იას.
ნესტარი ჰკარ შავბნელ წყვდიადს,
შორს გაფანტე შესაზარი,
ჩაეკონე მწვანე ჯეჯილს,
მორწყე ველი, მთა და ბარი.
ხმა მიეცი მაშვრალთ კერას
გაამხნევე დაჩაგრული,
აწკრიალდი, ველ მიდამოს,
მიულოცე გაზაფხული.

გოგია.

---

## მიხა ხლუსტ მე*)

(საამდროო მოთხრობა).

მიხაკია ხლუსტიძე მშვენიერი მოყვანილობის ბიჭი იყო, მაღალი, დაბალი, თავგასიებული, მუცელ გამობერილი, კოჭ დაბალი, კბილებ მოღრეცილი. ცხვირი ზოშით ექნებოდა ხუთი ვერშოკი, ნესტები ისეთი გამობანჯგვლილი და გამოღრუტნული ჰქონდა, ასე გეგონებოდათ ხუთი წლის გამოუწმენდელი ბუხარი არისო. თვალები წვრილი ჰქონდა ვით ბალის კურკა და ისე შორს იყვენ მიმალული, რომ გეგონებოდათ სადღაც ფუღუროში შემძვრალან და გამოსვლას აღარ აპირებენო ყველა ამ სიკეთესთან მეტათ მშვენიერი მიხვრა მოხვრა და ლაპარაკი ჰქონდა, როცა ლაპარაკობდა პირიდან ქაფი მოსდიოდა და წამ და უწუმ ჩოხის სახელოს ისვამდა პირზე. მიხაკია იქნებოდა სამოცი წლის როცა სიყვარულის ცეცხლი აენთო გულში, შეიყვარა მეზობლის გოგო სოფია და კიდეც გადასწყვიტა მისი შერთვა.

შაბათი სალამო იყო, აღმოსავლეთიდან ნელი სიო მოქშინავდა, ადამიანები გაოფლებული იყვენ სიცხისაგან და გულს უშვერდენ სიოს, აქა იქ ცაზე ვარსკლავები გამოსულიყვენ და კბილებ დაკრეჭილები გამოიყურებოდენ, სოფელში ქათმები წრიპინებდენ, კაცები ყიოდენ და ქალები შიშინებდენ, საზარელი ხმაურობა იყო. მიხაკიამ ტანთ ჩაიცვა, იქვე ლორისთვის გამზადებულ ვარცხლში ხელათ პირი აბოიბანა, ჩოხის კალთაზე გაიწმინდა პირი, მხარზე ზორბა ჯოხი გაიდო და გზას გაუდგა თავის საცოლოსკენ. ის ნელა მიდიოდა და მძიმე ნაბიჯი მიჰქონდა. სოფიო იქვე ახლოს სცხოვრობდა მეტათ ლამაზი იყო გრძელი პირის სახე, როგორც სახედარს, ყველივით ფართე თვალები, ცხვირი პატარა, ოდნავ მოსჩანდა მის სახეზე, ნიკაპი გრძელი, ტანათ გათლილ ჩხირს ჰგავდა, პირის ნახევი იმოდენა ჰქონდა, რომ პატარა კვახს ერთ ლუკმათ იდებდა. როცა გაიცინებდა პირის ნახევი ყურებთან მიჰქონდა. მეტის მეტი მოყვარული გულის პატრონი იყო. ძლიერ უყვარდა მიხაკია, როცა ის მასთან მიდიოდა ამ დროს სოფიოს წინ დიდი გობი ედგა და გულ და გულ ზელდა მჭადის ცომს, ის მარტოთ იყო, როცა მიხაკია სახლის კარებს მიადგა, სოფიოს მჭადის ზელისთვის თავი დაენებებინა და ჩაფიქრებული იყო, ალბათ მიხაკიაზე ფიქრობდა. მიხაკიამ გაუცინა, ჩაუხველა, მაგრამ სოფიო ისე ღრმად ჩაფიქრებული იყო, არაფერი გაუგია, მიხაკიამ უფრო მაღლა დაახველა, მაგრამ არაფერი. ბოლოს გულმა აღარ მოუთმინა დათვივით წინ გადახტა, მაგრამ აქ მოხდა საშინელი მარცხი. მიხაკიას ცუდი ნახტომი მოუვიდა, ორივე ფეხებით ცომიან გობში ჩახტა, ჩაფიქრებულ სოფიოს დაეტაკა და ორივე აკოტრიალდა. ცომიანი გობი თავზე წამოეხურათ. ამ ყოფაში ნახა ისინი სოფიოს მამამ, გობ ქვეშ ერთმანეთს კოცნიდენ და საცოდავათ ფეხებს აფართხალებდენ. სოფიოს მამამ იპოვნა დიდი ჭოლოკი და გაანთავისუფლა გობიდან დამ[illegible]ენ—ერტყა, რომ მათი სიცოცხლეთ მთელი სოფელი ტიროდა.

მარიამ გარიყული.

(შემდეგი იქნება.)

ვიპოვნე და დავბეჭდე
ნინა ხუნტრუცაძემ.

*) ეს პატარა მოთხრობა ქუჩაში ვიპოვნეთ და რადგან პატრონი არ აღმოუჩნდა ვბეჭდავთ „მათრახში“. ნ. ხ.

---

## მესტვირული

(დეპუტატ გელოვანისათვის)

ისევ შენ ჩემო ქამანჩავ,
ნუგეშო დაჩაგრულისა
ხმა ტკბილად მოღიღინეო,
გამხარებელო გულისა.
არ მესმის შენი სიმღერა
მსხვერპლი გამხადე წყლულისა,
ამხედრდი ძველებურადა
ჭირიმე შენი სულისა.

—

მოდი პეტერბურგს წავიდეთ
იქ ვნახოთ ერთი პირიო,
სახელათ ქვია კუჭიკო
ფედერალისტა გმირიო.
ვნახავთ თუ არა მაშინვე
მიულიღინოთ სტვირიო
უთხრათ: თავადო კუჭიკო
ეს რა შეგემთხვა ჭირიო
„ხალხის“ დამცველსა დეპუტატს
საქმე გჭირს გასაკვირიო
გაზეთში იყო ახლა ხან
საქებათ რამე ძვირიო.
„პადლოგი“ ერთი გამოჩნდა
შენ ხელით გამოჭრილიო,
პადლოგში როგორც თავადი
იქნები გამოცდილიო.
პასუხსა გთხოვდენ გლეხები
დღეს გარეთ გამოყრილიო,
შენგან ყელ გამოჭრილები
გაყოდულ-განაწირიო.
პასუხის დაგვიანებას
მოყვა ბრალდება ხშირიო
„აფერისტობა“ „შანტაჟი“
სხვა მარგალიტი ძვირიო.
(მე შენ გეტყვი და სირცხვილით
არ წაუწითლდეს ცხვირიო)
შენ კი ხარ გაჩუმებული
თითქოს აგიკრავს პირიო

—

რათ ყლაპავ ამდენ სირცხვილსა
სანამდის უნდა გაჩუმდე,

ეგებ დრო მიგაქვს უდროვოდ
არ გინდა მალე გამტყუნდე?
ამ სანაქებო სახელით
შინ სამშობლოში დაბრუნდე
რა გააკეთე არ იცი?
რატომ არ გინდა დარწმუნდე,
გაიგე, წესი აგიგეს
და კიდეც უნდა გახუნდე --

—

ვაშა შენს ამომრჩევლებსა
კაცი გიპოვნეს ამგვარი
(დანოსით ამორჩეული
რა იქნებოდა სხვა გვარი).
რას ამბობს შენი დამცველი
ქართველთა შავი ლაშქარი,
ურო, სილოვან, ზდანოვიჩ
სიმართლის გზასა ამცდარი.
კიტა და გაკიტებულნი,
მეპადლოგეთა ამქარი,
(ვის აირჩევდენ საწყლები
როცა ყველაა წამხდარი)
რომელს არა აქვს ცოდვები
კუჰიკოსავით ნაქნარი?
ნეტავ ვიცოდე არ ჯობდა
შინ ყოფილიყვენ დამჯდარი!.
ეწერათ აბდა უბდები
ამით ეკრიფათ ქანქარი
მაშინ არ აერეოდენ
იმ უბადრუკებს დავთარი.

—

მიხვთი თუ არა თავადო
თავის მართლება ძნელია,
სიცრუეს თუ არ მიმართე
სიმართლე დამღუპველია
აქ უნდა გამოიჩინო
„ნიჭი“ და „მარჯვე ხელია“
სინდისი მეპადლოგესი
ყოვლისფრის მომნახველია.)
ფედერალისტთა ბანაკი
კვლავ ძველებურად ბნელია,
შენ თუ ერთი ხარ, იქ სხვები
ბარე ორმოცი მგელია.
ნუ თუ არ მოინახება
იქ შენთვის ერთი ხვრელია,
რომ თავი შერგო დროებით
როგორც რომ ტურა მელია?!..

—

არა, უკვე ქარიშხალმა
გადაფურცლა შავი სია,
იქ—სუყველამ წაიკითხა
რა წერილა, რა გიქნია.
ისევ უკან გეძახიან
ბედმა ხელიც დაგიქნია
ქვენა აზრმა, საარაკო
სამსახური გაგიწია.
ურო ევგენს ამცირებდა
ბაყაყ-დევათ შენ გაქცია
ეს ტიტანი ჩემო კუჰო
თქვი რა ცოდვამ წააქცია
უროს „ერი“ და „სამშობლო“
უროს თავმა დააქცია.
რას მოხმარდეს ეს უნჰო
(ერთს ვიცნობდე რა კაცია)
აწ რას დასწერს უბედური
სილოვანის რედაქცია!..
ვის ერფერი, ვის მეწყერი,
სად თქვენა და სად ნაცია.

**ქარ-ბუქი.**

## გურული სცენა

### ქმარის ალსარება.

შემიჩნდა ჩემი ცოლი ფუნდუკიე, პარასკეობაში გამიშვი საკაბე უნდა ვიყიდოვო, მე სხოგან მივდიოდი, ამხელა ოჯახი მოსარები იყო და ღმერთს მართალი უყვარს ძალიანი გამიჭირდა გაშობა, მარა ხომ მოგეხსენება ქალების როკაპობა, რომ გააბა სოინარსავით და დეიჩემა, საშველი აღარ მიეცა, რას ვიზამდი, გუუშვი იმ პირობით რომე ადრე მოსულიყო. შინ დავტოვე ათი წლის ბიჭი, ოჯახს შეხედე და ამასობაში დედა შენიც მუა მეთქი, ვაი არ შეიყვანს ღმერთი იმას და გაჩხიკინებულს მიჩვენებს, რაფერ იმან შეჭშალა კაცი. მივედი შინ ზამლობის დროზე, მარა ფუნდუკიეი სა გყავს, ბიჭო გოგინიკავ დედა შენი ხომ არ მოსულა მეთქი, ყველაი მეზობლები გამეიარა, მარა ნენაი არ გამოჩენილაო მუაწია საქონელის დალაგების დროი, დავაბი ძროხა, ხარი, გევიხედე თხაი არაა ეზოში, ბაბავ, გოგინიკავ თხაი სეით წევიდა თუ იცი მეთქი, მარა ბალანამ აფერი იცოდა სულ ლობისკენ ქონდა თვალი; წივედი მოსანახავათ. ვიყვირე პეეე, პეეე, მარა თხაის ნალი ვერ დევინახე, გევიხედე ერთ ადგილზე ძალიანი გადამდგარი მაღალი გვიმბრაია და რაცხა გვიმბრას აქანებს, გადავსწყვიტე, ნამდვილად გვიმბრაში შემძვრალა ჩემი თხაი და კაი გასისინებული იქნება მეთქი, მივაძახე სიხარულით პეეე, პეეე და მივადექი გვიმბრას, რაცხამ შპუნა თავი, გაარღვია გვინბრაი და სორომგორომათ გახადა ყორიფელი, მოშპა და მოშპა, გადახტა და გადახტა, დევიწიე უკან, მე მგელი მეგონა და სილაღიც არ მქონდა, გეიტიალა და მგლის მაგიორ გამოჩდა კაი გაშლიჰინებული კაძახი, ვეფიქრე გავკეთდი კაცი, ნამდვილი ქურდი ყოფილა და ნაქურდალი დავატიებიე მეთქი, ჩავხტი სიადანაც იი კაცი გეიქცა და ქი არ დავიჭირე ჩემი ფუნდუკიეი, თურმე პარასკეობაში კი არ წასულა, პაემანი გიეკეთებია ამ გვიმბრაში. უთაქე და უთაქე, ვზორე და ვზორე, უწყვიტინე და უწყვიტინე რაც შემეძლო. მეისპო ქალების სახსენებელი, ამ ჩემმა ფუნდუკიამ ქი არ დამიყენა თვალები და თვალ და ხელს შვა ქი არ მაჭამა სირცხვილი!..

**ბუჯგუტი.**

### სიზმარი.

ღღიურ სიცხადით გულ-ამღვრეულმა
ძილში ვიხილე ცუდი სიზმარი
(მაგრამ ქეთევან კი არ მინახავს
არც წმინდა ნინო და არც თამარი)
ვნახე გომახურს კარტს თამაშობდენ:
ნესტორ, სიმონა, კიტა, კოწია
და თვით „ობოლი“ ჩვენი პოეტი
(პირად ლამაზი,—ტანად ძოწია).
„ობოლს“ ხელთ ეპყრა სამი ქაღალდი
მაგრამ ნესტორას ოთხი ეჭირა
და თავ მომწონე კორესპონდენტი
სამი „ტუზითა“ გამოეჭირა.
კიტა ამბობდა ორი „ტიომნი“
თუმცა ნახული მას უკვე ქონდა
კოწიას სურდა კარტის მოპარვა,
სიმონას კონი უკან გაქონდა.
ხუთივე ერთად არეულ ხმები
გალობდენ მწარსა საგალობელსა...
და მუხლ-მოდრეკით ხელ აპყრობილნი
თაყვანსა სცემდენ “ტუზის„ მშობელსა.

**ბორბოშა.**


სამტრედია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძღვნათ ნ. ჩიქვაეძებს და „კომპანიას“ მათი კანდიდატის გაშავების გამო.**

სამტრედიის ოთხ კლასიან
სასწავლებლის ინსპექტორსა,
„მწუხარებით“ მოვიგონებთ,
ვერსად ვნახავთ იმის სწორსა!
ყრილობის დროს ნიკოლოზმა
მოიყვანა კანდიდატი,
უსუსური, ულაზათო,
ჭკუა თხელი როგორც ბატი.
ყორანივით გააშავეს
კანდიდატი ესე დიდი,
ჩაუტყდათ და ჩაეშალათ
გადებული მათი ხიდი.
ობოლ ცრემლებს აპკურებენ
გაშავებულ დავითასა
ჭკუა გონება დაებნათ
ედებიან ბარს და მთასა...
ნიკოლოზს შეღაღადებენ
მხოლოდ „დონოსი“ გვრჩენია,
მაგის დაწერა-შეთხუზვა
ესე საქმენი შენია.
ილო მკლავაძე ამაყობს,
ნუ გეშინიათ მაგისა,
მაგ საქმეს ყველას დავარღვევთ.
მე იმედი მაქვს სხვა გზისა.
რადგან ხალხი ჩვენ მიგვიხდა
რაც გვინდოდა იმათთვინა,
თუ ეგ ჩვენ ვერ გავაქარწყლეთ
მაშვინ ღმერთმა შეგვარცხვინა.

ფრიკობიე.

---

**პოეტი ნოე ჩხიკვაძე.**

(ანუ რაინდი ფიცხი და შეუპოვარი)

არავის ახსოვს არც წელნი, როდესაც ნოე გაბრიელისძე წარმოიშვა, არც დღე და არც ჟამი.

ზოგიერთ ჩვენ ისტორიკოსთა გამოკვლევით ის დაბადებულია 1730 წელს, 1 მარტს, დღითი შაბათს, დილის 4 საათზე. ეს არის და ეს, მართალია ამ ისტორიკოსთ არავითარი მაგარი საბუთი ხელთ არა აქვთ, ამ თავიანთ გამოკვლევის დასამტკიცებლათ და ყველაფერს მხოლოდ იმ დროინდელ ხალხის ზეპირ გარდმოცემაზე ამყარებენ, მაგრამ უნდა ვსთქვათ ეს მოსაზრება სიმართლესთან ახლოს უნდა იდგეს. როგორც იგივ ისტორიკოსნი და მემატიანენი გადმოგვცემენ ქვეყნის გაჩენიდან წელთა აღრიცხვაში მხოლოდ ერთად ერთი 1730 წელი ყოფილა მეტად ცვალებადი და უკუღმართი. მთელ წელიწადს ისე გაუვლია, რომ ქვეყანაზე მრავალი მარცხი და უბედურება მომხდარა,

**მეგობრული შარჟები.**



ნ. ჩხიკვაძე.

თვე თვეს არ გვანებია, დღე დღეს და ჟამი ჟამს. თუ მხედველობაში მივიღებთ ნოე ჩხიკვაძის დაუდგრომელ და შეპრენკილ ხასიათს, ეჭვს გარეშეა ისტორიკოსთა გამოკვლევა სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ჩვენი შეუპოვარი რაინდი მარტში დაიბადა, მე მგონია ამაში ეჭვი არვის დაებადება. როგორც ისტორია მოგვითხრობს ნოე ჩხიკვაძე დაბადებულა ქალაქ ეწერში (იმერეთის დედა ქალაქია) ამ დღეს არა თუ იმერეთში, ამარეთშიც დიდი ამა ჩვეულებრივი ამბები მომხდარა: გაზაფხულის დღეები უცბათ ზამთრის დღეებათ შეიცვალა, მზე დაბნელდა, მთელ იმერეთში საშინელი მიწის ძვრა მოხდა და მრავალი ხალხი დაიღუპა, სოფლად საზარი ქათმის ჭირი გაჩნდა და სულ ამოხოცა, თფილისში ტრამვაის ვაგონი ვერის დაღმართზე სახედარს დაეტაკა და მარჯვენა ყური ძალზე დაუზიანა, ბაქოში მზე დაბნელდა, ქუჩაში მდგომ პოლიციელს გზა აერია, ქვას ფეხი წამოსდო, წაიქცა და ცხვირი გაიტეხა. ენა ვერ გამოსთქვამს რა უბედურობა დატრიალდა ამ დღეს. როგორც ბოლოს გამოირკვა მარტო ნოე ჩხიკვაძის დაბადება არ ყოფილა ამ საზარი ამბების მიზეზი, მასთან ერთათ დაიბადა მისი პოეტური მუზაც, ნოემ პირველი ლექსი აკვანში დასწერა. ამ პირველ ლექსში მან სრულიად გადმოანთხია თავისი რაინდული მისწრაფება და რაინდული ხასიათი.

როცა სიარული დაიწყო ნოემ ქ. ფოთს მიაშურა, სადაც ის ჩაება ცხოვრების ფერხულში. აქ მან ლექსთა მთელი მორევი დააყენა. რამდენიმე წლის განმავლობაში ისეთი ქარ-ბუქი ააყენა, რომ მამის დატოვებული სახლი ყირამალა გადააბრუნა და თოვლს ქვეშ დამარხა. აქ ამ უბედურების შემდეგ მან ისევ სოფელს მიაშურა და იქ ააჟღერა თავისი ქნარი, მაგრამ ამ თავგანწირვამ ის კინალამ იმსხვერპლა. ვილაც უგნურმა სოფლელმა ქეიფის დროს მას ხანჯალი ჩხუკა და კინალამ ზედ წამოაგო, კინალამ ამოგლიჯა პოეტების ბახჩას ერთი ყვავილი. ამას შემდეგ ნოემ ქალაქს მიაშურა, სადაც ის ჩვენდა სასიხარულოდ მშვიდ ცხოვრებას ეწევა. მაგრამ მის შეუპოვარ სულს აქაც ვერ მოუსვენია. მას განუძრახავს მიუძღვნას საზოგადოებას თავის ნაშრომი, გამოსცეს თავის ნაწარმოები. წიგნის ბეჭდვას უკვე შესდგომიან, კვიტანციები უკვე დარიგდა ხელის მომწერთათვის. მხოლოდ ერთი რამ არის საშიში: თუ ნოეს წიგნის დაბადებაზე ისეთივე უბედურება დატრიალდა, როგორც მის დაბადებაზე, ეს დიდ მსხვერპლს შეიწირავს.

**ირეთელი.**

## შ ა რ ა დ ა.

პირველია ერთი სიტყვა,
მოიგონეთ ის დრო-ხანა,
როცა თავზედ გადგას მტერი
უნდა დაგკრას მკერდში დანა.
(მაგალითად, თორემ ღმერთმა
აგაშოროთ ამისთანა.)
აი, მაშინ ის შეგიპყრობს!
ველარ მიხვთით ეხლაც განა?
და, თუ მიხვთით, შეინახეთ
ჯერ ეს სიტყვა უვლებელათ,
და შემდეგი სიტყვისათვის
მოემზადეთ საძებნელათ.
ეხლა სიტყვა გამონახეთ
მუსიკალურ მნიშვნელობის,
(ამას იგი ვერ აცდება,
ვინც კი არის მოტრფე ღვდლობის.)
რითაც, ხოლმე, მწირველთ გუნდი,
დროს წირვისას, მოგალხინებს;
ანუ, რითაც იგივ გუნდი,
წინ მიუძღვის ბალდახინებს.
და მას პირველ მესამედსა
მოაშორებთ, ვითა ურგებს,
რადგან იგი ჩვენ შარადას
მეტის-მეტათ დააუგებს.
ორი უკვე გამოვნახეთ,
მესამეზე მიდგა ჯერი,
გზას კვალ და კვალ გამოყევით,
ვინც რომა ხართ ენა მჭევრი!
დაუკვირდით: მამაკაცი
თავის შვილის რაა ხოლმე,
მას პირველი ერთი ასო
ჩამოშჭერით თქვენ როგორმე.
ეს ასო კი პირველ სიტყვას,
შარადისთვის რომ მოჰნახეთ,
შუა გულში ჩაუკერეთ
და მეორეს შეუთანხმეთ.
ერთი სიტყვა გამოგვივა.
ჩვენ, ამ გვარათ შენაერთის,
რაც მშრომელ ხალხს ევლინება,
ღვდლების სიტყვით, „წყრომათ
ღმერთის“!!
დღესაც, ხოლმე, რაც საშიშრათ
მოსდებია ჩვენ სამყაროს,
ამხსნელს ამა შარადისას,
გისურვებ არ შეეყაროს.

**ვინმე ჭანი.**

## საჩხერის ვაჭრების ბაქი-ბუქი.

—

„შამედმა“ სთქვა: რაც მინდოდა
ავისრულე სურვილით,
რასაც ვიტყვი ყველამ იცის
არ იქნება ტყუილით.
ყოფილმა მუშამ, ღარიბმა
შევიძინე ქონებათ
(ამისი მიზეზი არის
რომ დავკარგე გონებათ)
აღარ მახსოვს დაჩაგრულნი
ჩემი ყოფილი ძმებით
მე იმათი აღარ მესმის
გაწივრებისა ხმებით.
დღეს ჩემი ძმა ისა არის
ვინც ჩემსავით სქელიათ,
კნიაზ-ჯანებს ვენაცვალე
იმათ მიჰყევ ხელიათ.

—

„სანომ“ უთხრა: შვილო-ჯან
რაზე ცხარობ მალ-მალე
თუ რომ სათქმელი რამ გაქვს
ცოტა მაინც დამალე
ხომ მიყურებ აგერ მე
როგორ მოვრთე საქმეთ
არაფრისა არ მქონებ
სახლნი გადავხლართეთ
ჩემზე გლახას, გაფცქვნილსა
ვერ ნახავდით ვერვისა
მაგრამ „ყობი“ გავჩარხე
და შემძლე ვარ ბევრისა
ათასამდის „ლისტი“ მაქვს
ვექსილს ხომ თვლა არ აქვსო
თხოვნის წერით დავითსა
მოსვენება არ აქვსო.

—

ამ დროს „ალა“ მოვორთხდა
მოახსენა ნელათ:
ეხლა შეც გამაგონეთ
რომ მოგიყვეთ, ყველათ
სწორედ ოცი წლის ვიყავ
რომ მომიკვდა მამათ
თვალნი არ შემშრობია
ცრემლმა ლოყა ნამათ.
დავრჩი ობლად წყეული
არ ვინ გამიკარათ,
მხოლოდ ერთი გამიჩნდა
იმან დამივარათ.
დუქანში დამიყენა
ერთათ თავისთანათ
„ბუჩუყსაც“ ქე მაძლევდა
კერძოთ ხანდისხანათ!
ასე და ამ გვარადა
გავხდი „კუპეც“ გილდის“
ქონება მემატება
რაც დროება მიდის,
ამ დღიდან შევიძულე
მუშა, გლეხი, ხალხია
ვისაც ჩვენ არ უნდივართ
ყველა მგელმა დახია.

**სიკინჭალა.**

# წერილები.

**ღ. ჩოხატაური.** აქ უკვე დაარსდა სცენის მოყვარეთა წრე. წრეში 25 კაცია, 25-ს კიდევ ეძებენ, რადგან „მსახიობ“. ესმაშვილის რეჟისორობით მოკლე დროში ემზადებიან ახალი პიესის „სინათლეს“ დადგმას. საპასუხის მგებელ როლის შესასრულებლად მოწვეულ იქნება ცნობილი არტისტი ალიოშა ჯაყელი.

— მოსალოდნელია წელს, განათხულზე, ჩოხატაურის პატარა ღელეში, ბაყაყთა გუნდი, ვეღარ იმღერებს, რადგან აქ უკვე შესდგა 12 კაცისგან ახალი გუნდი.

— აქ მოხდა საზოგადო ყრილობა, ფარცხმის მცხოვრებთა საზიარო მიწის შესახებ, (რომელიც მდებარეობს დ. ჩოხატაურში) რის გამო გლეხთა „ერთგულ“ ლუკა ბერძენიშვილს ერთი ფუთი ლვინო უულინწავს, რათა უფრო გაბედულად დაებრმავებია მისი მიმდევრები.

— თ-დ კ. ერისთავს, როგორც სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, 300 თხოვნა მიუღია სხვადასხვა პირებისაგან, გურიაში გამოსაყვან ახალ რკინის გზაზე სასამსახურო ადგილების შესახებ. როგორც გავიგეთ ყველასი დაუკმაყოფილებიათ.

— ახალი მაზრის უფროსის მობრძანების შემდეგ, როგორც იქნა დაისვენა ხტუნვისაგან „ჩინოვნიკმა ალიოშამ.

**ყორანი*).**

—

**ჩოჩხათი.** როგორც სუფსიდან ამოსულებმა გადმოგვცეს და დეპეშითაც იტყობინებიან: იქ სანდრო ქერქეტაძის ღმობიერ საქციელის გამო ბაზარში ქალების ცავლა შეუძლებელი გამხდარა. ამიტომ სუფსელი მანდილოსნები თხოულობენ სანდროსთვის ზურგის დასარბილებლათ და ენის დასამოკლებლათ მათრახის კუდს.

**ოლოლე.**

—

**ღ. ყვირილა.** ჩვენ მივიღეთ დაბა ყვირილის ნოქრების ვარლამ ჩაჩანიძის და ამბროსი მახათაძის მიერ ხელ მოწერილი ბარათი, სადაც გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მათი საზეინი პანტ. ნიორაძე ზომიერათ ასაზღოებს მათ და არა ისე როგორც „მათრახის“ ფოსტაში იყო მოთავსებული. როგორც ნოქრები ისე თვით პანტელ ნიორაძე დაბეჯითებით აცხადებენ, რომ ნოქრების ძალზე გამოკვება დაბა ყვირილაში არას დროს არ მომხდარა და არც ერთ „ხაზეინს“ არ ახსოვს ასეთი ამბავი.

## ილიას სიმღერა

(ჩიბათისათვის.)

მასწავლებელი მეცა ვარ,
მეც კი მახურავს ქუდით,
ჩემს ამბავს გაცნობთ, მითხარით
აბა რა ზნე მაქვს ცუდით.
პირველათ მიყვარს ღვინის სმა,
მოქეიფე ვარ ძალზედა,
მეორეთ — კარტის თამაშშიც
უკეთესი ვარ სხვაზედა.

---

*) ვაცხადებთ, რომ დღეიდან ჩენს ჟურნალში დაბეჭდილი წერილები ,,ყორანის‘‘ ფსევდონიმით ეკუთვნის ნამდვილ ,,ყორანს‘‘, ხოლო რაც დღემდე დაიბეჭდა ის ეკუთვნოდა ,,ყვავს‘‘ და არა ,,ყორანს‘‘. ეს ჩვენ დავბეჭდეთ შეცდომით, რაზედაც ბოდიშს მოვითხოვთ ,,ყორანთან‘‘ და ,,ყვავთანაც‘‘.

,,მათრახის‘‘ რედ.

მესამეთ — მიყვარს ხუნტრუცი,
მომწონს არშიყი ქალები, . . . .
როცა ლამაზსა ვიხილავ
ტეხას დამიწყებს ძვალები.
ამა საქმისთვის სოფელმაც
კი მომაყენა წყენათ
მეტი თუ რამე გამაჩნდეს
სწორეთ გამიწყრეს ზენათ.
ხო, უკაცრავად, გამომრჩა
კიდე მაქვს ერთი ვალია —
ვიდაცა გოგო გამძღარა
ამბობს: ილიას ბრალია!..
თავს მეცემოდა ყოველ დღე,
აღარ მაცალა ადგომა,
თუ მისი ბრალი არ იყოს
არ გამითენდეს აღდგომა.
ასე ლაღინებს ილია
მაგით ნუ მეტყვი ძვირსათ,
ლამაზი თუ გვაკოცნიებს
ყველა გაუშვერს პირსათ.

**ობოლი.**

### პასუხი „მათრახის“ მეფოსტეს.

ჰეი „მათრახის“ მეფოსტევ!
როგორ მოვიქცე შენთანა,
მიტომ ჩამაგდე “ფოსტაში
გინდა მომკლაყო ყველგანა...?
აგრე ულმერთოთ განწირვას
არ მოველოდი შენგანა,“
რომ არ ვარ დიდი „პოეტი“
შენ აღარ იცი ეს განა?...
— მე გამოცანა, რომ მქონდა
დალაქზე დანაწერია,
როგორც შემეძლო ავსწერე
ის „რენეგატი“ მტერია.
შენ კი მთხოვ კიდე გავლექსოთ
ის აღარ დავიჯერია,
იმის წერის დროს ძმობილო
კალამს წავტეხე წვერია,
და თქვენ კი არ დამიბეჭდეთ
ვითომ და არაფერია.
ასე გგონიათ ლექსები
ადვილი დასაწერია*).

K.

---

*) ნუ ცხარობ ჩემო პოეტო..
არა ვარ შენი მტერია,
ჩვენ იმას ვაგდებთ ფოსტაში
ვინც ღირსი, შესაფერია.
თუ რომ ამისთვის გვიწყრები
და ცხვირი აგილერია!
ისეთ მათრახსა მოგაწვნით —
ივლიჯო თმა და წვერია.

მეფოსტე.

## წერილები რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ ,,მათრახის'' საშვალებით გამოვაცხადო შემდეგი: გურულ სცენაში ნახსენები ვარდიშო და სხ. ვარდიშო გ-ლისა არ არის. თუ კი ვინმეს აინტერესებს ვარდიშოს გაგება, ისევ სჯობია მოსძებნოს ჩოლობარგში, რასაც სულ ადვილად იპოვნის.

თემუ—

—

პატივცემულო რედაქტორო! ,,მათრახის მეხუთე ნომერში მოთავსებულია ლექსი ,,თაიგული'' (მიბაძვა)—ვინმე .,გ. ბ''-ს. გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ იმ ლექსის ავტორი მე არ ვარ.

პატივისცემით მაქსიმე რევია.

ვამოწმებთ, რომ ბ-ნი მაქსიმე რევია არ არის ზემოხსენებული ლექსის ავტორი.

,,მათრახის'' რედაქცია.

## „მათრახის“ ფოსტა.

ს ა მ ღ რ. „ბრანწს“—თქვენი „ხოზიკა“-სადმი ქეპათა ქება „ქართულ კულტურის მოყვარ. წრეს“ გარდავეცით საპრემიოთ.

ო ზ უ რ გ ე თ ი—ცეცხლს. თქვენი გამოცანა „ფოთიელ თხის მწყემს მეგრელის“ შესახებ არ დაიბეჭდება. თხის მწყემს მეგრელზე გამოცანების წერა თქვენს მეტის მეტ სისასტიკეს ამტკიცებს, ცოტა ლმობიერათ მოიქეცით.

ს. ჩ ი ბ ა თ ი—შიოლას. თქვენი პოეტური ნანთხევი ,,ციური სახე'' მეტად სუსტია, ამიტომ გოდორში ჩავდეთ.

ა ბ ა შ ა—მოვას. თქვენი ლექსი თევდორე გუჯაბიძეზე გადამეტებული უნდა იყოს. ვერ წარმოგვიდგენია ისეთი კაცი იყოს ის თქვენი თევდორე, რომ ,,ქვისლის ცოლი გულის ბოყვში ჩაიხუტოს, ქვისლი წამოესწროს და ზურგზე ბოლი აუყენოს''. ასეთი ამბავი ჯერ არ მომხდარა ამ ქვეყნად და რაღა საბრალო თევდორეს მოუვიდა? წარმოგვიდგინეთ დასამტკიცებელი საბუთები და შემდეგ დავბეჭდავთ. ესე იგი საჭიროა წარმოადგინოთ თევდორეს გულის ბოყვი, ქალი რომელიც ამ ბოყვში ჩაიხუტა და ის ბოლი, რომელიც მას ზურგზე აუყენეს. ამით დავრწმუნდებით თქვენი წერილის სიმართლეში და შემდეგ დავბეჭდავთ.

თ ბ ი ლ ი ს ი. ბომბოთელს. თქვენი ლექსი ,,სიმღერა'', რომელსაც ნინას უძღვნით, ჩვენის აზრით ჟურნალში დასაბეჭდი არ არის. უმჯობესი იქნება კერძოთ მისწეროთ. რა საჭიროა ქვეყანამ გაიგოს როგორ გაგიჟებით გიყვართ ნინა, როგორ მზათ ხართ მისთვის ,,მელად გადაიქცეთ და მოიტაცოთ''. თუ მოტაცება გინდათ ეს დიდს საიდუმლოებას უნდა შეადგენდეს, რომ სისრულეში მოიყვანოთ თქვენი განზრახვა.

# მათრახი

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

**გამოვა კვირაობით. წლიურად ღირს 2 მ. 50 კ. ცალკე ნომერი 5 კ.**
ვინც გამოგზავნის **ერთ მანათს** (ფულს, გინდ ფოსტის მარკებს) მას გაეგზავნება **20** ნომერი მათრახისა.

**რედაქციაში იყიდება გასული წლების ჟურნალები:**

1) **ეშმაკის მათრახი**—1908 წ. 34 ნომ. 2 მ. 50 კ. 2) **მათრახ-სალამური** 1909 წ. 34 ნომ. 2—50. 3) **ალმანახები** 1909 წ. 10 ნ. 50 კ. 4) **მათრახ-სალამური** 1910 წ. 33 ნომ. 2—50.

ვისაც ყდით სურს, თითო წიგნს მიემატება ფასი თითო მანეთი. მსურველებს პროვინციებშიაც გაეგზავნებათ ჩვენის ხარჯით.

ფული და წერილები გამოიგზავნება ამ ადრესზე: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.



— ვინ დაიჯერებს, რომ ეს ორნი, ხუთი წუთის წინ ერთმანეთს სრულიად არ იცნობდენ!